

## კვირის მიმოხილვა

26 მაისი -1 ივნისის პერიოდში შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- გარდაბანში მომხდარი ინციდენტის გაშუქებისას მედიის ნაწილმა აქცენტი პოლიტიკურ, ხოლო ნაწილმა ეთნიკურ დაპირისპირებაზე გააკეთა და ძირითადად ფაქტის აღწერით შემოიფარგლა;
- სიძულვილის ენას რესპონდენტები (რეზო ამაშუკელი, პოეტი; რობერტ სტურუა, რეჟისორი) ნაციონალური მოძრაობის მისამართით, კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობის (ლევან ანჯაფარიძე, რეჟისორი), ხოლო ჟურნალისტი (ასავალ-დასავალი) ქართველ მწერლებთან მიმართებით იყენებდნენ;
- ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის გამართლებას "ქართული ოცნების" წარმომადგენელი (დავით ლორთქიფანიძე) ახდენდა, ხოლო "ქართული ოცნების" წევრის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების მოთხოვნას გაზეთის მეშვეობით რესპონდენტი (რეზო ამაშუკელი, პოეტი) აკეთებდა;

გაგრძელება გვ. 2

## # 15, 26 მაისი - 1 ივნისი



## რეაბირება

29 მაისი

რუსთავი 2-ის თვითრეგულირების ორგანომ არასამთავრობოების საჩივარი დააკმაყოფილა



ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს თვითრეგულირების ორგანომ ქართველ მუსლიმთა კავშირის, მედიის განვითარების ფონდისა (MDF) და ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) საჩივარი დააკმაყოფილა.

საჩივრის საფუძველი გადაცემა P.S.-ში 6 აპრილს გასული სიუჟეტი გახდა, რომელიც აჭარაში მეჩეთის აშენებას ეხებოდა.

საჩივრის თანახმად, სიუჟეტში „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ 5 ნორმა დაირღვა (იხ. ბიულეტენი #9).

გაგრძელება გვ. 2

## შინაარსი

სიძულვილის ენა	3
ძალადობის გამართლება/ძალადობისკენ მოწოდება	4
შულის გადავივება	4-5
თურქოფობია	5
ქსენოფობია	6
რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია	6
ანტიდასავლური განწყობები	7-9
ანტიდისკრიმინაციული კანონი	9-10
სექსუალური ნიშნით დისკრიმინაცია	11

## კვირის მიმოხილვა

### დასაწყისი გვ. 1

- თურქების მიმართ შუღლის გაღვივებას პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენლები და მედია-კავშირი "ობიექტივი" ახდენდნენ. ანტითურქული განწყობების გაღვივება ძირითადად მედია-კავშირ ობიექტივის ეთერში და ინტერნეტ-პორტალ Geworld.ge-ის მეშვეობით ხდებოდა;
- თურქების გარდა ქსეონოფობია ეთნიკური არაბების, ირანელების და ერაყელების მიმართ იყო გამოხატული. გაზეთ "კვირის პალიტრის" მასალა კი ერთი კრიმინალური ინციდენტის ზოგადად უცხოელებზე განზოგადებას, მათ მოძალადეებად და დამნაშავეებად წარმოჩენას ახდენდა;
- მედიის მხრიდან (გაზეთი "ალია") ადგილობრივი და საერთაშორისო ქრისტიანულ-ევანგელური გაერთიანებების მიერ ორგანიზებული

საერთაშორისო ფესტივალის "სექტანტების" და "ანტიქრისტიანულ მწვალებელურ" შეკრებად მოხსენიებას ჰქონდა ადგილი.

- ანტიდასავლური განწყობები ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას და ამ თვალსაზრისით ცრუ ინფორმაციის გავრცელებას, ლუგარის ლაბორატორიას, ანტიდისკრიმინაციულ კანონს და დასავლეთის, როგორც მართლმადიდებლობასთან მებრძოლის წარმოჩენას უკავშირდებოდა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გააქტიურებული იყვნენ მედია საშუალებები "საქინფორმი", "ასავალ-დასავალი", Geworld.ge.
- ანტიდისკრიმინაციული კანონის თემა კვლავ აქტუალური იყო, რა დროსაც მმართველი გუნდის მიმართ კრიტიკამ იმატა.

## რეაზირება

### დასაწყისი გვ. 1

29 მაისს გაიმართა საჩივრის განხილვა, რომელსაც კომისიის წევრებთან ერთად დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციებიც ესწრებოდნენ. რუსთავი 2-ის თვითრეგულირების ორგანოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ჟურნალისტის ან გადაცემა „პოსტკრიპტუმის“ რედაქციის მიზანი არ ყოფილა სადავო სიუჟეტით მაყურებლის შეცდომაში შეყვანა ან უმცირესობათა შესახებ არასწორი განცხადების გაკეთება, რისი დასტურიც არის მთლიანად სიუჟეტის დაბალანსებულობა და ჟურნალისტის მცდელობა, გაავრცელოს ყველა დაინტერესებული პირის მოსაზრება.

მიუხედავად ამისა, თვითრეგულირების ორგანომ მომჩივანთა განცხადება დააკმაყოფილა და „პოსტკრიპტუმის“ რედაქციას რეკომენდაცია მიეცა - განსაკუთრებით სიფრთხილით მოეკიდოს რელიგიურ უმცირესობების საკითხებზე სიუჟეტების მომზადებას. „სადავო სიუჟეტში შესაძლოა არსებობდეს გარკვეული ხარვეზები, თუმცა აღნიშნული უნდა იქნეს მიჩნეული ჟურნალისტის მიკერძოებულ პოზიციად, რადგან სიუჟეტში გასული სადავო ფრაზები გაუფრთხილებლობის შედეგს წარმოადგენს“, - აღნიშნულია გადაწყვეტილებაში.

## კვირის თემა - გარდაბნის ინციდენტი

28 მაისს გარდაბანში მომხდარი ინციდენტის გაშუქებისას, რომელიც ახალგაზრდებს შორის ჯერ სიტყვიერად დაიწყო, ხოლო შემდეგ მასშტაბურ ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, მედია ძირითადად ვითარების აღწერით შემოიფარგლა. სატელევიზიო საინფორმაციო გამომშვებებიდან ყველა არხებზე აქცენტი ეთნიკურ ნიშანზე კეთდებოდა, რუსთავი 2ზე კი მხარეთა პარტიულ კუთვნილებაზე. კურიერის წამყვანი მხარეებს არა აზერბაიჯანლებად და ქართველებად მოიხსენიებდა, როგორც ეს სხვა არხებზე იყო გადმოცემული, არამედ "დაპირისპირებულ ადგილობრივებად".



ნაციონალური მოძრაობის მიერ ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირების ხელოვნურად პროვოცირებაზე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი საუბრობდა:

### ინტერვიუსი, ალია, 30 მაისი

#### ამბაკო ავალიანი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი:

"პროვოკაციაზე წამოაგო ამდენი ხალხი, ქართველები და აზერბაიჯანელები დააპირისპირა რამინ ბაირამოვმა, რომელიც არის „ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე გარდაბნის რაიონში. მას ჰყავს თავისი დაჯგუფება, რომელსაც აცემინა სამი ეთნიკურად ქართველი, ამან გამოიწვია ქართველების უკმაყოფილება, რასაც მოჰყვა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რომელიც გუშინ ჩხუბში გადაიზარდა.“

## სიკულვილის ენა

### საქინფორმი, 28 მაისი

**რეზო ავაშუკელი, პოეტი:** „რაც სისხლი სვით ქართველების, იმყოფინეთ. ვიცი, ძალიან ბევრს ექავება ხელი, მაგრამ უმორჩილესად გთხოვთ, მე დამიტოვეთ კოტე გაბაშვილი და გოკა გაბაშვილი. კიდევ გთხოვთ, ხელი არ ახლოთ ჰერმანფროდიტ აკაკი მინაშვილს. ვარდისფერი კოლგოტკებით უნდა ვარბებინო რუსთაველზე“.  
[http://saqinform.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=19034:2014-05-28-11-56-32&catid=100:sazogadoeba&Itemid=396#ixzz33BrNUPTp](http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=19034:2014-05-28-11-56-32&catid=100:sazogadoeba&Itemid=396#ixzz33BrNUPTp)

### რეპორტიორი, 26 მაისი

**ლევან ანჯაზარიძე, რეჟისორი:** „ძალიან დიდი თავის შეკავება მჭირდება, რომ ზოგიერთს ხელით არ შევეხო... გეფიცები ადამიანობას, უკვე თავს ვიკავებ, რომ ვიღაცები [კულტურის სამინისტროს და კინოცენტრის ხელმძღვანელობა] ქუჩაში არ გავატყავო ღორებივით. მაგათში მე უკვე ადამიანებს ვეღარ ვხედავ!“

### პირველი, 30 მაისი

**როზმარტ სტურუა, რეჟისორი:** „ძროხები უქმნიან დიდ საშიშროებას ნორმალურ ხალხს. და გავიფიქრე – ნაცისტებიც ასევე უშლიან ისედაც რთულ გზაზე მყოფ საქართველოს! ნაციონალური ძროხები.“  
 P.S. კაცმა რომ თქვას, რას ვერჩი კეთილშობილ ძროხას (ინდოეთში წმინდა ცხოველად კი მიიჩნევენ). ვცვლი დასახელებას: ნაციონალური საქონელი!“  
[http://pia.ge/show\\_internet\\_daijest\\_news.php?id=2867&lang=geo](http://pia.ge/show_internet_daijest_news.php?id=2867&lang=geo)

### ასავალ-დასავალი, 26 მაისი – 1 ივნისი

**დიტო ჩუბინიძე, ჟურნალისტი:** „აი ამ სამი ვაჟბატონის [ზურა ქარუმიძე, ზაზა ბურჭულაძე და ლაშა ბუღაძე] ლესბო-ჰომოსექსუალური და ზოოფილური სიბილწით გაჯერებულ ნაგავს ეცნობა მთელი ბრიტანეთი და ევროპა... როგორ ფიქრობთ, ყველაფრის წამკითხავი და მჩხიბავი ევროპელი უსტაბაშები ამის შემდეგ არ დაგვადამლებენ „პედერასტების კანონს.“

## კალაღობის გამართლება/კალაღობისკენ მოწოდება

ალია, 29 მაისი

**დავით ლორთქიფანიძე, ქართული ოცნება:** „ჭიბერაშვილს რომ ფიზიკურად გაუსწორდნენ, მიზეზად მხოლოდ ისიც კმარა, რაც მან ქართლის დედაზე დაწერა - ერთ ხელში საშო უჭირავს, მეორეში კიდევ ფალოსიო“.

ასავალ დასავალი, 26 მაისი -1 ივნისი

**რეზო ამაშუკაძე, პოეტი:** „და კიდევ, ვაფრთხილებ დავით ზურაბიშვილს და პირდაპირ ასე დაწერეთ - სადმე თუ გადამეყრება, მეორე ფეხსაც მოვამტვრევ! მიფრთხილდეს!“

## შუღლის გაღვივება

ოზიმატივი, ღამის სტუდია, 10 და 31 მაისი

"ღამის სტუდიის" მთელი გადაცემა დაეთმო "ობიექტივის" მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს 29 მაისს თურქმა მესაზღვრეებმა აჭარის, კერძოდ, სოფელ კირნათის მოსახლეობას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმოების უფლება არ მიცეს და საქართველოს საზღვარი გადმოკვეთეს, რაც საქართველოს ოფიციალურმა სტრუქტურებმა არ დაადასტურეს.

მთელი გადაცემა თურქების მიმართ შუღლს და სიძულვილს აღვივებდა.

**დავით თარხან-მოურავი, პატრიოტა ალიანსი:**

“...არავის არაფერს არ დავუთმობთ ჩვენ და თუ ამას დასჭირდება, მაგ თურქ მესაზღვრეებს გავუხეთქოთ თავები, ზუსტად მაგ თავს გავუხეთქავთ. ძალადობა არის, როდესაც თურქი მესაზღვრე გადმოდის და გეუბნება, რომ გაერთიანე აქედან და იქ რომ ვიქნები, გავუერთიანებ თავ-ყბას მაგას.“



“საკანშილის ხელისუფლებამ ხომ გაჰყიდა, მიჰყიდა თურქეთს აჭარა, პრაქტიკულად, ახალმა ხელისუფლებამ ვერ გამოიჩინა სათანადო სიმტკიცე... ერთ მტკაველს არავინ არ დაუთმობს ამ თურქებს.

...მინდა ყველას შევახსენო, რომ თურქეთს მიტაცებული აქვს საქართველოს ტერიტორიების 33%.”

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2347603](http://www.myvideo.ge/?video_id=2347603)

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2347530](http://www.myvideo.ge/?video_id=2347530)

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2347567](http://www.myvideo.ge/?video_id=2347567)

**ვაჟა ოთარაშვილი, პატრიოტა ალიანსი:** “ქართულ მიწა-წყალზე გადმოვიდა ვიღაცა გადამთიელი, რომელიც სამი საუკუნე განადგურებდა, რომელმაც 1723 წელს მეფობის გაუქმება დაიწყო საქართველოში და დღეს მოდის, ვითომ როგორც შენი მეგობარი...”

ქართული ტელეარხები არის მოჯადოებული ამ თურქული ტელეარხებით, გამოათავანეს ხალხი... თავისი დამპყრობლის ფილმებს 24 საათი აჩვენებენ, აზომბირებენ მოსახლეობას. ეს არის მოლაღატური არხები.“

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2347574](http://www.myvideo.ge/?video_id=2347574)

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2347605](http://www.myvideo.ge/?video_id=2347605)

გაგრძელება გვ. 5

## შუღლის გაცვივება

დასაწყისი გვ. 4

**სოსო ზაალიშვილი, წამყვანი:** "... ახლა როდესაც თურქი სამხედრო შემოდის საქართველოს ტერიტორიაზე, კარმიდამოს ართმევს ქართველ გლეხს ეს არის ოკუპაციის დაწყება. ეს არის ღია ოკუპაციის დაწყება."

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2348383](http://www.myvideo.ge/?video_id=2348383)

## თურქოფობია

**ოზიქტივი, ღამის სტუდია, 27 მაისი**

**ღამით თარსან-მოურავი, პატრიოტთა**

**ალიანსი:** "აქ აჭარლები არიან, მამაპაპის-ეული მიწა აქვთ, იმას ვერ იმტკიცებენ, პირიქით, ხალხს მიწები წაართვეს, თურქებს გადასცეს."

...თურქეთი, რომელიც იზიდავს ჩვენს ახალგაზრდებს, რომ წაიყვანონ სტამბოლში, მიადებინონ იქ განათლება, და არამარტო განათლება, ძირითადად, სასულიერო განათლება, ეს ერთი. მეორე, ძალიან ბევრთან, იქ ახალგაზრდებთან მუშაობენ და ტვინს და გონებას ურევენ და ბევრს ჰგონია მერე, რომ თურქეთია ჩვენი სამშობლო და არის საქართველო".

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2344670](http://www.myvideo.ge/?video_id=2344670)

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2346765](http://www.myvideo.ge/?video_id=2346765)

**ოზიქტივი, ღამის სტუდია, 27 მაისი**

**მაყურებელი [სატელეფონო ჩართვა]:**

"მედრესე ბოლოლების ისტორია, ეს არის მტკივნეული ისტორია, იმიტომ რომ მათი არამარტო ჰაბიტუსი შეიცვალა, გულწრფელად გეტყვით, მათი ცნობიერება იცვლება და იყო ასეთი ფაქტი, მე მოვისმინე ტელევიზიით, რომ ვეფხისტყაოსნის ზეპირად მცოდნე ერთი მოიძებნა მთელ აჭარაში, როდესაც ყურანი 15-მა გოგონამ იცოდა ზეპირად, მითხარით, ეხლა რას შევადარო ესა?"

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2346767](http://www.myvideo.ge/?video_id=2346767)

**GEWORLD.GE ,28 მაისი**

**ზვიად ირმაძაძე, ანტიგლობალიზაციის**

**ცენტრი «ივერიელები»:** „თურქეთს აქვს თავისი ინტერესები, თავისი გეგმა და არც უნდა გვიკვირდეს, რომ როგორც ასპექტებში ის ეწინააღმდეგება ქართული სახელმწიფოებრივი იდეის არსებობას."

<http://geworld.ge/View.php?ArtId=5926&lang=ge>

**GEWORLD.GE , 28 მაისი**

**მმრავ ბლანდაძე, "უფლებადამცველი":**

«ნაციონალებმა» ბათუმელებს მამა-პაპის დანატოვარი უძრავი ქონება წაართვეს და თურქებს ერთ ლარად მიჰყიდეს... დღეს ბათუმში 18 ათასი თურქი მესაკუთრეა რეგისტრირებული, წარმოგიდგენიათ? გაირყვნა ჩვენი ქათქათა ბათუმი, გონიოსა და კვარიათის დასახლებაც თურქებმა წაბილწეს."

<http://geworld.ge/View.php?ArtId=5927>

**GEWORLD.GE, 28 მაისი**

**ბ.ს. [ინკოგნიტო რესპონდენტი]:** "ძველ ბათუმში ქართულ საუბარს ვეღარ მოჰკრავთ ყურს... ბოდიში, მაგრამ რუსი ჩემთვის, აჭარელი კაცისთვის, არ არის ოკუპანტი, რადგან მე უკვე თურქმა დამიპყრო და ჩემთვის თურქზე დიდი ოკუპანტი არავინაა... აჭარელ კაცს ის უფრო სტკივა, მის მიწა-წყალზე თურქმა რომ მოიკიდა ფეხი... გათავზედებული თურქები ბათუმის ქუჩებში მუშტებზე იყურებიან."

<http://geworld.ge/View.php?ArtId=5927>

## ქსენოფობია

კვირის პალიტრა, 26 მაისი- 1 ივნისი



არასრულწლოვანის გაუპატიურების მცდელობაში ბრალდებული ერაყის მოქალაქის თემა, რომელიც ქართულ მედიაში ქსენოფობიურ კონტექსტში გაშუქდა, "კვირის პალიტრამაც" სპეკულაციურად გააშუქა. აღნიშნული ინციდენტი ზოგადად უცხოელებზე იყო განზოგადებული, რის საილუსტრაციოდაც უცხოელთა დაპატიმრების სტატისტიკა იყო მოყვანილი.

„ცოტა ხნის წინ თბილისი შემზარავმა ფაქტმა შეძრა-ერაყის რამდენიმე მოქალაქემ 15 წლის ბიჭის გაუპატიურება სცადა. სამწუხაროდ, ეს ერთადერთი შემთხვევა არ არის, როცა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს საქართველოში სხვადასხვა ბრალდებით აკავებენ... მიმდინარე წლის მარტის თვის მონაცემებით, საქართველოს ციხეებში 188 უცხოელი ბრალდებული და მსჯავრდადებული იყო“.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც სტატისტიკიდან ირკვევა, უცხოელთა უმეტესობა საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის და ფინანსური დანაშაულებისთვის იხდის სასჯელს, რედაქცია დაუსაბუთებლად ახდენს გაცილებით მძიმე დანაშაულის - სექსუალური ძალადობის უცხოელებთან დაკავშირებას, რითაც მათი მოძალადეებად წარმოიჩენა ხდება.

ნეტგაზეთი, 29 მაისი

მასალა სელექციური ტურიზმის პრობლემას ასახავს.

**რადღა გზასაღია, ბათუმის მკვიდრი:**  
"ერაყელები ბინძურები არიან. ირანელებიც."

**სათუნა ინასარიძე, სასტუმრო "იალქანი":** "ირანელები ძალიან ბინძურები არიან... ყველა ერიდება ირანელის შეშვებას".

**ინება, რუსუდანი, სასტუმრო "ბეკრო":**  
"ირანელებს თავისებური სუნიც აქვთ. ჯდომა, ჭამის წესი აქვთ უკულტურო".

<http://www.netgazeti.ge/GE/105/Life/31963/.htm>

GEWORLD.GE, 28 მაისი

**ზვიად ირემბაძე, ანტიგლობალიზაციის ცენტრი «ივერიელები»:** „...საქართველო აღარ ეკუთვნით ქართველებს. გაიარეთ ღამის ათი საათის შემდეგ პლენხანოვზე და ნახავთ, ვისია ეს ქვეყანა - ჩვენი თუ უცხოელების. არაბებით, ირანელებითა და ერაყელებითაა მთელი გამზირი გადაქცედილი.“

<http://geworld.ge/View.php?>

[ArtId=5926&lang=ge](http://geworld.ge/View.php?ArtId=5926&lang=ge)

## რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

აღია, 28 მაისი

**ჟანა ასანიძე, ჟურნალისტი:** „ბატონო ზაზა (მიმართავს ნანობაშვილს), სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ინფორმაციებს დავუბრუნდეთ. 6-8 ივნისს, თბილისში სპორტის სასახლეში სექტანტების შეკრება ტარდებოდა, რომელიც შენიღბული ყოფილი „ფესტივალის“ ფორმით. ეს არის ჩვეულებრივი ანტიქრისტიანული მწვალებლური შეკრება და მასზე დასწრება არ შეიძლება! ამაზე რა იცით?“

## ანტიდასავლური განწყობები

GEWORLD.GE, 28 მაისი

### ელიზბარ ჯაჰველიძე, სახალხო კრება:

“თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დღეს გლობალურ დონეზე მიმდინარეობს გენოციდი, რომელიც გულისხმობს ერების როგორც სულიერ, ისე ფიზიკურ განადგურებას, ყველაფერი ნათელი გახდება. ამიტომ არ არის გამორიცხული და დიდი ეჭვიც არსებობს, რომ ეს ვირუსები [საქართველოში აღმოჩენილი, რომლებიც ლუგარის ლაბორატორიაში ამერიკელებთან ერთად გამოიკვლიეს] ხელოვნურად ვრცელდება... ეს ქმედება მიმართულია იმისკენ, რომ საბოლოოდ ამოძრკონ ქართველი ხალხი, ქართული ცნობიერება... დიდი ეჭვით ვუყურებ იმ ლაბორატორიას [ლუგარის]...”

საქართველოში რუსების აგენტებზე გაცილებით მეტი და საშიში აგენტები არიან. განსაკუთრებით საშიშები არიან იმ მასონური მოძრაობის აგენტები, რომლებსაც მსოფლიოს ერთ ერად ქვეყნის მიზანი ამოძრავებთ.”  
<http://geworld.ge/View.php?ArtId=5921>

ასავალ-დასავალი, 26-მაისი – 1 ივნისი

### თემურ შაშიაშვილი, პოლიტიკური

**მომრაობა „თეთრები“:** „26 მაისს საკავშირის ხელისუფლებას მიტინგის დარბევის პირდაპირი სანქცია აშშ-ის მაშინდელმა ელჩმა ჯონ ზასმა მისცა!.. დიახ, ამერიკელებმა საქართველოში ხელისუფლებას 26 მაისს სრული კარტბლანში მისცეს - მიდით, საკუთარ ხალხს გადაუარეთ, ესროლეთ და მოკალით!

... ბედნიერი უნდა იყოს ის ხელისუფალი, რომელიც ამ ხელშეკრულებაზე [ასოცირების] ხელმოწერას თავიდან აიცილებს, რადგან კაცმა არ იცის, როგორ განვითარდება მოვლენები და რა მძიმე პრობლემებს შეუქმნის საქართველოს ეს ხელშეკრულება!“

ასავალ-დასავალი, 26 მაისი – 1 ივნისი

საქინფორმი, 26 მაისი

**არნო სიღირაშვილი, საქინფორმის მთავარი რედაქტორი:** „...ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების კვალდაკვალ საქართველო უკვე ოფიციალურად დაკარგავს დამოუკიდებლობას!..

დასამლელად განწირულ ამ სტრუქტურასთან სამარცხინო ლაციციტო საქართველო დარჩება კაბალური ხელშეკრულებების და ვალდებულებების უუფლებო სუბიექტად! ამერიკელები და ევროპელები დღემდე ამრეზით უყურებენ ქართველებს, რადგან პრიმიტიულ მონებად, ველურ მთიელებად და მესამე ხარისხის გაუნათლებელ ადამიანებად გვთვლიან!..

საქართველო დაცარიელდება, როგორც ლატვია, ლიტვა და ესტონეთი, ევროპაში საზოგადოებრივად აღმოჩნდება უქონელი საქართველოს მუშახელი, აქ კი მხოლოდ ჩინელები და ირანელები დარჩებიან, სამცხე-ჯავახეთში - სომხები, ხოლო ქვემო ქართლში აზერბაიჯანელები განსახლდებიან... რაც შეეხება აჭარას, მას თურქული მოსახლეობა წალეკავს და თავად ეს რეგიონიც იმ პერიოდისთვის უკვე თურქეთთან გადაჩოჩდება! გადავა რა ევროკავშირის ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმში, საქართველოს მოუწევს, აწარმოოს და მოიხმაროს მხოლოდ ის პროდუქტები, რომლებიც აკმაყოფილებს ევროსტანდარტს და ამით საბოლოოდ გააპარტახებს ისედაც სულთმობრძავ სოფლის მეურნეობასა და მეცხოველეობას, მცირე და საშუალო ბიზნესს. ამასთან საქართველოსთვის კვლავ დაიკეტება რუსული ბაზარი...

საქართველოში ამუშავდება ტექდათვალიერების ისეთი სისტემა, რომელიც გაანადგურებს საქართველოს მოძველებული ავტოპარკის 80 პროცენტს... საქართველოში მკვეთრად გაძვირდება მედიკამენტები, საკვები და ზოგადად სამომხმარებლო კალათა...

და რაც ყველაზე ყველაზე საგანგაშოა: საქართველო ვალდებული გახდება მოახდინოს რეგიონულ ენათა ევროპული ქარტის რატიფიცირება, რომელსაც მან 1999 წელს, მოაწერა ხელი!.. ეს გახლავთ არათუ რეგიონული ენების შემოღების „უმანკო“ პროექტი, არამედ სამეგრელოს, სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის ავტონომიების გამოცხადების წინა პირობაც.“  
[http://saqinform.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=19003:-1-r&catid=115:redakciisagan&Itemid=530#axzz34921d3AM](http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=19003:-1-r&catid=115:redakciisagan&Itemid=530#axzz34921d3AM)

გაგრძელება გვ. 8

## ანტიდასავლური განწყობები

დასაწყისი გვ. 7

### ასავალ-დასავალი, 26 მაისი – 1 ივნისი

**თიმურ საჩიშვილი, ყოფილი შსს-ს მინისტრი:** „გზა, რომელსაც ჩვენ ახლა ვადგავართ, ევროკავშირში კი არ შეგვიყვანს, არამედ მის კოლონიად გვაქცევს. არ ვარ წინააღმდეგი, რომ ის სიკეთე, რაც ევროკავშირშია, ჩვენთან შემოვიდეს, თუმცა აქ მხოლოდ იქაური მანკიერი ღირებულებები ინერგება.“

**ვალერი გულბასიანი, ყოფილი პარლამენტარი:** „თუ საქართველო ხელს მოაწერს ევროკავშირთან ასოცირების ეკონომიკურ ნაწილს, ამით ქართული ეკონომიკური პოტენციალი განადგურდება!...გამოდის, რომ ჩვენ ვართ „მესამე სამყაროს“ ქვეყანა და ჩვენ ქვეყანაში ეკონომიკის განვითარება არავის აინტერესებს!“

### ალია, 28 მაისი

**ზაზა ნანობაშვილი, მართლმადიდებელთა კრებულის:** „იქ [ევროპაში] ანტიმართლმადიდებლური მოძრაობები ფრთებგაშლილია, ისინი ტრადიციულ ქვეყნებს აიძულებენ ჩაითრიონ წუმპეში“.

### ასავალ-დასავალი, 26 მაისი – 1 ივნისი

**ბიორგი რაზმაძე, მღვდელი:** „ინგლისში 9 წლის ბავშვებს ნებას რთავენ სქესი აირჩიონ, ანუ თუ ბიჭია, როგორ უნდა გახდეს გოგო და პირიქით, სხვადასხვა საშუალებისა და წამლების დახმარებით... საქართველოშიც მსგავსი რაღაცეების გაკეთება უნდათ. ასე დაიწყო ინგლისში თავიდან, გარკვეული კანონმდებლობის მიღება და ბოლოს, ერთსქესიანთა ქორწინებაც დაიშვა.“

### ასავალ-დასავალი, 26 მაისი – 1 ივნისი

**ლევან ვასაძე, ბიზნესმენი:** „თქვენ შეარცხვინეთ საქართველო [ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებით]... და გააკეთეთ ეს არა ნამდვილი ევროპული ღირებულებების სანაცვლოდ, რომლებიც არიან ქრისტიანული ღირებულებები, არამედ იმ ანტიკუმანური, ოკულტისტური ძალების მონებით, რომლებიც რყვნიან და ღუპავენ ტრადიციულ ევროპას ბოლო წლებში და ანგრევენ იქ ოჯახისა და ღმერთის რწმენას...“

### ნებგაზეთი, 26 მაისი

**არჩილ ჭყონიძე, ევრაზიული არჩევანი:**

„ჩემი თვალსაზრისით, დასავლეთის მოწყობილი იყო ეს არეულობა უკრაინაში, მიუხედავად ამისა, უძლური აღმოჩნდა რუსეთთან... ჩვენ რომ დავიცვათ ჩვენი მოქალაქეები და უზრუნველყოთ მათი უსაფრთხოება, ამისათვის აუცილებელია მჭიდრო კავშირები დავამყაროთ რუსეთთან. ვინაიდან ჩანს ყოველ მხრივ, რომ დასავლეთი ვერ უზრუნველყოფს საქართველოს უსაფრთხოებას.“  
<http://www.netgazeti.ge/GE/105/News/31837/.htm>

### პირველი, 26 მაისი

**არჩილ ჭყონიძე, ევრაზიული არჩევანი:**

„სამწუხაროდ, დასავლეთი, აშშ ყველაფერს აკეთებს, რომ საქართველო შეიყვანოს კონფლიქტში რუსეთთან და შემდეგ განაცხადოს, რომ საქართველოზე აგრესია განხორციელდა... ომი ნამდვილად არ დაუწყია ქართულ მხარეს, ის, ამერიკის დავალებით, მიხეილ სააკაშვილმა დაიწყო, რაც დაადასტურა ცოტახნის წინ ჯონ მაკკეინმა“.

[http://pia.ge/show\\_news.php?id=14812&lang=geo](http://pia.ge/show_news.php?id=14812&lang=geo)

### ასავალ-დასავალი, 26 მაისი – 1 ივნისი

**მელა რუსიშვილი, მკითხველი:** „სიბინძურის ხელშეწყობა დემოკრატია არაა, ეს დანაშაულია და თუ მართლა ასეთ სიბინძურეს (ანტიდისკრიმინაციული კანონი) მოითხოვს დემოკრატია და დასავლეთი, მაშინ არც ასეთი დემოკრატია გვინდა და არც ასეთი დასავლეთი!“

გაგრძელება გვ. 9



## ანტიდასავლური განწყობები

დასაწყისი გვ. 8

GEWORLD.GE, 28 მაისი

**ზვიად ირამაძე, ანტიგლობალიზაციის ცენტრი «ივერიელები» :** „ნატო, როგორც ბლოკი, არის პოლიტიკური კრიმინალების ბლოკი, ხოლო ევროკავშირს რაც შეეხება, ბალტიისპირეთია ნათელი მაგალითი იმისა, თუ რა შეიძლება დაგვემართოს ამ ორგანიზაციასთან დაახლოების შედეგად... რიგა - ქალაქი, რომელიც საბჭოთა კავშირის დროს თითოთ საჩვენებელი იყო და იქ საქორწინო მოგზაურობებს იწყობდა ხალხი, დღეს გაუკაცრიელებულია.“

<http://geworld.ge/View.php?ArtId=5926&lang=ge>

საქინფორმი, 27 მაისი

"...როგორ იყენებს [ირაკლი ალასანია, თავდაცვის მინისტრი] საზარბაზნე ხორცად, თავისი წინამორბედების მსგავსად, ქართველ ჭაბუკებს, თავისი აშშ-პატრონების დანაშაულებრივ ინტერესებში დაქირავებულ ოკუპანტებად რომ არიან ქცეული“.

[http://saqinform.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=19008:2014-05-27-07-48-10&catid=99:actual1&Itemid=419#ixzz33Bdm6Tzm](http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=19008:2014-05-27-07-48-10&catid=99:actual1&Itemid=419#ixzz33Bdm6Tzm)

ოზიქტივი, ღამის სტუდია, 30 მაისი

**ტელემაყურებელი [სატელეფონო ზარი]:** „ჩვენ რომ გვინდა შევიდეთ ნატოში და დავაყენოთ მათი ჯარები და მათი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები, ამას ვინ მოემსახურება? მოემსახურება თურქის ჯარი, რომელიც არის ნატოს წევრი... გადმოიყვანს პირდაპირ თურქს და ბატონმა ალასანიამ რომ ბრძანა განვათავსოთ თავდაცვის სისტემებით, პოლიგონად უნდა აქციოს საქართველო?“

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2348393](http://www.myvideo.ge/?video_id=2348393)

## ანტიდისკრიმინაციული კანონი

ასავალ-დასავალი, 26 მაისი – 1 ივნისი

**დიტო ჩუბინიძე, ჟურნალისტი:** „ბატონო შალვა, მგონი თქვენ ჩვენს გაზეთში არ დაგიფიქსირებიათ თქვენი პოზიცია ამ ე.წ. ანტიდისკრიმინაციულ კანონთან დაკავშირებით, რომელსაც ჩვენ უკაცრავად პასუხია, მაგრამ პედერასტების კანონს ვეძახით.“

**შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტული პარტია:** „ამ კანონის მიღებით მან [ბიძინა ივანიშვილმა] ყველაფერს გადაუსვა ხაზი და ამის გამო ივანიშვილი ისტორიაში შევა, როგორც სექსუალური უმცირესობათა განსაკუთრებულ სექტად ჩამომყალიბებული!“


იმედი, რეაქცია, 30 მაისი

**შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტული პარტია:** “რაც

შეასრულა ოცნებებიდან ბატონმა ივანიშვილმა, ეს ალბათ, აახდინა

სექსუალური უმცირესობების ოცნება ანტიდისკრიმინაციული კანონით... ამ კანონს მოჰყვება აუცილებლად ერთსქესიანთა დაქორწინების კანონი და მათთვის შვილად აყვანის პროგრამის დაკანონება.“

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2348527](http://www.myvideo.ge/?video_id=2348527)



გაგრძელება გვ. 10

## ანტიდისკრიმინაციული კანონი


დასაწყისი გვ. 9

**ასავალ-დასავალი, 26 მაისი – 1 ივნისი**

**ლევან ვასაძე,**

**ბიზნესმენი:**

„მიღებული კანონით



თქვენ აუკრძალეთ ხალხს გარყვნილებას გარყვნილება უწოდოს, არაკაცობას არაკაცობა, ადმიანის ყველაზე სამარცხვინო ქცევა დაგმოს და დაემუქროს ხალხს ამისათვის ციხეში ჩადებით და მათი ქონებისა და საქმის ლიკვიდაციით... ამოიღეთ იქიდან გარყვნილების ლეგიტიმაციის ყოველგვარი ხსენება, როგორც არ უნდა გიბრძანებდნენ ამას უცხოეთიდან და აკრძალეთ გარყვნილების პროპაგანდა საქართველოში.“

**იმედი, რამციხა, 30 მაისი**

**ლევან ვასაძე, ბიზნესმენი:** „ეს კანონი არის მიღებული არაბუნებრივი უმცირესობების გასამრავლებლად... ჩვენ არავის ამ ავხორცობას არ ვუკრძალავთ, მაგრამ ამ მიღებული კანონით, ის არის სამარცხვინო...“

თუ ეს კანონი ამუშავდა, ჩემთვის ეს არ-ის აფხაზეთის დაკარგვაზე დიდი ტრაგედია.“

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2348426](http://www.myvideo.ge/?video_id=2348426)

**ასავალ-დასავალი, 26 მაისი – 1 ივნისი**

**დავით ისაკაძე, დეკანოზი:**

„პარლამენტი რესპუბლიკელებმა და ნაცებმა საკუთარ სახლად გადააქციეს,

სადაც საზოგადოების ნების საწინააღმდეგოდ სოლომური ცოდვის ლეგალიზაციის კანონებს ერთობლივი ჟღურტულით იღებენ!“

**ობიექტივი, ღამის სტუდია, 28 მაისი**

**ტელემაყურებელი [სატელეფონო ჩართვა]:**

„ზვიად ძიძიგურს მინდა ვუთხრა, გეგების გამპრავებელმა აღარ ჩაიცვას ჩოხა რა, არ შეიძლება ასეთ ადამიანებს რომ ჩოხა ეცვათ და საერთოდ პარლამენტში რომ იყვნენ.“

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2344662](http://www.myvideo.ge/?video_id=2344662)

**ასავალ-დასავალი, 26 მაისი – 1 ივნისი**

**მეფა რუსიშვილი, მკითხველი:**

„როგორ მოსდით თავში ასეთი საზიზღრობა (ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება), როგორ არ რცხვენიათ მისი ქაღალდზე გადატანა და გასაჯაროება, ან ამის შემდეგ ხალხში როგორ ჩნდებიან, თვალეში, როგორ უყურებენ ადამიანებს? ალბათ ყველას შიშვლად ხედავენ და გონებაში აუპატიურებენ კიდევ!!!“

**ჯაბა ხუბუა, ჟურნალისტი:** „პირველი არხის“ მიერ 17 მაისს გაშვებული ეს დოკუმენტური ფილმი, რომელიც ლგბტ პროპაგანდის თვალნათელი ნიმუშია, პირდაპირი გამოძახილია იმ ე.წ. „ანტიდისკრიმინაციული კანონისა“, რომელიც საქართველოს პარლამენტმა ცოტა ხნის წინათ ტაშის გრიალით დაამტკიცა და მამათმავლობა და ლესბოსელობა ბუნებრივ ნორმად გამოაცხადა.“

## სემსუაღური ნიშნით ღისკრიმინაცია

„ქართველი ხალხი თავის გამოფხეკილი ჯიბიდან იმიტომ აფინანსებს „საზოგადოებრივ მაუწყებელს“, რომ მის ეთერში გარყვნილებისა და მომაკვდინებელი ცოდვის რეკლამირებას უყუროს?!“

**იმედი, რეაქცია, 30 მაისი**

**შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტული პარტია:** „ერთადერთს თხოვს საზოგადოება ამათ რომ ნუ ჩაგვიტარებთ პარადებს რუსთაველზე... იმისათვის, რომ არ მოხდეს მოდად ქცევა არასასურველი მიმართულების, არ გახდეს გადამდები, მოგეხსენებათ მოდა და რაღაცა გადამდები სინდრომები ბევრ რაღაცას იწვევს ხომ?“

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2348527](http://www.myvideo.ge/?video_id=2348527)

**ლევან ვასაძე, ბიზნესმენი:** „არაფერ კავშირში არ არის ბუნებრივ უმცირესობებთან არაბუნებრივი გარყვნის შედეგად გამრავლებული უმცირესობის ცნება. არანაირი მეცნიერული დასტური, რომ ეს არის გენეტიკური აუცილებელი ჯვარი ადამიანისა, არ არსებობს... ეს არის ნორმა ადამიანის ქცევისა, შეგნებული არჩევანი, რომელიც მიმართული არის ავხორცობაზე.“

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2348426](http://www.myvideo.ge/?video_id=2348426)

**ასავალ-ღასავალი, 26 მაისი -1 ივნისი**

**ბასილ მკალაშიშვილი, მოძღვარი:** „17 მაისის გახსენება შემამრწუნებელია ყველა ქართველისთვის, რამეთუ ეს დღე უნდა აქციონ მამათმავალთა დღესასწაულად. ამიტომ იყო, რომ ღმერთმა მოგვცა ნიშანი, ხომ ხედავთ, რა ღვთის რისხვა დაატყდა დარიალის ხეობას“ ...

## გენდერული სტირეოტიპები

**რეზონანსი, 31 მაისი**

**მარიამ აფციაშვილი, ჟურნალისტი:** „...მის [მოტოციკლის მართვა] მიმართ ინტერესმა სუსტი სქესის წარმომადგენლებშიც იმძლავრა.“

**რეპორტიორი, 29 მაისი**

**მერაბ მებრძევილი, ჟურნალისტი:** „დაგვიანებით მინდა აღშფოთებული გამოვეხმაურო ბოლო დროს აგორებულ კამპანიას ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ... სად კლავენ იმდენ ქალს ჩვენთან რამდენ კაცსაც? ერთი ათთანაც არ იქნება შეფარდება. თუ ქვეყანაში გახშირებულ მკვლელობებს გმობ, მაშინ ზოგადად ძალადობა უნდა დაგმო, რა შუაშია აქ ქალთა მიმართ ძალადობა? ზოგჯერ მგონია, რომ ზოგიერთი უფლებადამცველისთვის კაცის მიმართ ძალადობა მოსული პონტია.“

<http://www.reportiori.ge/?menuid=3&id=28368>